ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის

ოქმი N 4
12 მარტი. 2015 წ.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგი:

1. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის დამტკიცება;
2. ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფორუმისთვის წარმოდგენილი მოხსენებების შეფასების საკითხი;
3. პროგრამული აკრედიტაციისათვის მომზადების საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს, ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოების და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების დებულების მიხედვით ფაკულტეტის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოსა და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების შემადგენლობის დამტკიცება
5. წიგნის თარგმნასთან და სახელმძღვანელოების რიდერების შექმნასთან დაკავშირებული საკითხები;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ძალადაკარგულ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების თავსებად აკრედიტირებულ პროგრამებზე გადაყვანისას სასწავლო და კვლევითი კომპონენტების აღიარების შესახებ;
7. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი საკითხი ინგლისური ენის კრედიტის ჩანაცვლების შესახებ;
8. ინტერენეტ აკადემიის ჟურნალში რედკოლეგიის გაფართოების შესახებ;
9. თსუ მესხეთის ყოფილი ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულ ხათუნა ლომიძის დიპლომის შეცვლის საკითხი (შემოსულია განცხადება (№1335/02, 20.01.2015) დიპლომის გამოცვლის თაობაზე მასში არსებული ხარვეზების გამო);
10. უნივერისტეტის ჯავახეთის ფილიალის კურსდამთავრებულის, ნონა ინასარიძის საკითხი;
11. ასოცირებული პროფესორის გოგი გოროშიძის წერილი ფაკულტეტისთვის აქტუალურ წინადადებათა 3 პაკეტი.

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი: პროფ. თ. გაგოშიძე.

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

<u>ფსიქოლოგიის დეპარტამენტიდან:</u> პროფ. ნ.სუმბაძე, პროფ. მ.წერეთელი, ასოც./პროფ.-ები: შ. აბზიანიძე, გ. გოროშიძე, მ. მელიქიშვილი, ვ. ნადარეიშვილი, ლ. სურმანიძე, ბ. არუთინოვა, თ. აბაშიძე, ა.ქიტიაშვილი, ასისტ./პროფ.-ები: ე. ფირცხალავა, ი. გედევანიშვილი.

<u>განათლების დეპარტამენტიდან:</u> პროფ. ქ. ჭკუასელი, ასოც./პროფ.-ები: ი. პეტრიაშვილი, რ.სანაძე ასისტ./ პროფ. ზ. ქიტიაშვილი.

<u>სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:</u> ბ. დადეშქელიანი, თ. კანდელაკი, ნ. ალიბეგაშვილი, ს. კიკვაძე.

საბჭოს სხდომას ესწრებოდა 21 წევრი.

განიხილეს:

1. **სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის წესი**

წარმოდგენილ იქნა სამაგსიტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის წესი, რომელიც 2015 წლის 23 იანვარს საბჭოს მე-6 სხდომაზე სამეცნიერო დარგში ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელის ლ. სურმანიძის მიერ საბჭოსთვის განსახილველად იყო წარდგენილი და შემდგომში საბჭოს დადაგენილების შესაბამისად გადაგზაგვნილი იქნა შენიშვნებისთვის, საბოლოოდ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის შეჯერებული ვარიანტი გამოტანილი იქნა დასამტკიცებლად.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ შეჯერებულ ვარიანტს უმრავლესობა არ იცნობს, რადგან მათ არ მიუღიათ ეს დოკუმენტი ელექტრონულ ფოსტაზე.

კენჭი უყარეს: გადაიდოს ფაკულტეტის საბჭოს შემდეგ სხდომაზე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის დამტკიცება, რადგან საბჭოს წევრები სრულად არ იცნობენ დოკუმენტს.

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

<u>**დაადგინეს:**</u> სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტის დამტკიცება წარმოდგენილი სახით გადაიდოს შემდეგ სხდომამდე.

2. **ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფორუმისათვის წარმოდგენილი მოხსენებების შეფასების საკითხი**

სამეცნიერო დარგში ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ლ. სურმანიძემ საბჭოს გააცნო ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფორუმისათვის წარმოდგენილი მოხსენებების შეფასებისათვის საჭირო პროცედურების შესახებ.
მან აღინიშნა, რომ სტუდენტების ნაშრომების შეფასებები უნდა წარმოადგნოს ფაკულტეტის საბჭომ.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. ბ. არუთინოვმა, მ. მელიქიშვილმა, ასისტ.პროფ. ზ. ქიტიაშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ საჭიროა ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება. ასოც. პროფესორმა ლალი სურმანიძემ განაცხადა, რომ რადგანაც არც უნივერსიტეტს არ აქვს განსაზღვრული კრიტერიუმები, ასეთ შემთხვევაში, პროფესორებს ეძლევათ სრული თავისუფლება, თუ საჭიროდ ჩათვლიან შერჩეული კომისია თვითონ შეიმუშავებს შეფასების კრიტერიუმებს.

რაც შეეხება სტუდენტების ნაშრომებს, ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 23 მარტის სხდომაზე (ოქმი #1) მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობიდან გამოიყო პროფესორები, რომლებიც ფორუმში მონაწილეობის მსურველი სტუდენტი-კანდიდატებიდან შეარჩევენ საუკეთესოს. საბოლოოდ საბჭოს მიიღებს გადაწყვეტილებას. შესარჩევი კომისიის წევრებად დამტკიცებულ იქნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ლ. ხეჩუაშვილი, ლ. ჩხიკვიშვილი, გ. გოროშიძე, ბ. დადეშქელიანი.

კომისიის წევრებს უკვე გადაეგზავნათ სტუდენტების მოხსენებები ანონიმური წესით.

კენჭი უყარეს: სტუდენტების ნაშრომები შეფასდეს შერჩეული კომისიის მიერ ანონიმურად და შედეგები წარედგინოს ფაკულტეტის საბჭოს.

მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

<u>დაადგინეს:</u> 27 მარტს პროფესორების ნაშრომების შეფასების ოქმი წარედგინოს კანცელარიას და გადაეგზავნოს ელექტრონულ მისამართზე სამეცნიერო დარგში ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს ლ. სურმანიძეს.
ასევე, სტუდენტების ნაშრომების შემფასებელმა კომისიამ 27 მარტს ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინოს მიღებული გადაწყვეტილება.

დაევალოს მიღებული შედეგების მომავალ საბჭოს სხდომაზე წარდგენა სამეცნიერო დარგში ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს ლ. სურმანიძეს. საბჭოს სხდომა გაიმართება 30 მარტს.

3. **პროგრამული აკრედიტაციისათვის მომზადების საკითხის განხილვა**

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს შეახსენა ინფორმაცია პროგრამული აკრედიტაციისათვის საჭირო სამუშაოს მომზადების დასრულების შესახებ, განსაკუთრებით საბაკალავრო პროგრამის. პროფ. თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ პროგრამული აკრედიტაციისათვის უკვე უნდა წარადგინონ პროგრამა, რომლის დასრულების შემდგომ შესაძლებელი იქნება ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მინიჭება. ამავე დროს, საჭიროა მიმდინარე საბაკალავრო პროგრამის მცირე კორექტირება ახალი კურსების დამატებით. პროფ. ქ. ჭკუასელმა აღნიშნა, რომ ჯერ არ არის ცნობილი მასწავლებლის ახალი სქემის მიხედვით მასწავლებლის მომზდების მოთხოვნები, თუმცა უკვე დროულად არის დასაწყები სამზადისი ახლაი პროგრამის სქემის შესამუშავებლად, მით უმეტეს, რომ მასწავლბელის სბააკალავრო პროგრამა 300 კრედიტიანი გახდება.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ქ. ჭკუასელმა, პროფ. მ. წერეთელმა, ასოც. პროფ. ვ. ნადარეიშვილმა, ასოც. პროფ. გ. გოროშიძემ. მათ აღნიშნეს, რომ აუცილებელია სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტებში კონცენტრაციების მიხედვით განიხილონ პროფესორებმა ახალი კურსების შემოტანის, თუ ძველი კურსების მიდიფიკაციის საკითხები. ასოც. პროფ. გ. გოროშიძემ გამოთქვა სურვილი მომაზადოს ახალი სამაგისტრო პროგრამა.

კენჭი უყარეს: სასწავლო- სამეცნიერო ინსტიტუტების მიერ კონცენტრაციებში შემავალი კურსების გადახედვა და მოდიფიკაცია საჭიროებისამებრ.

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილონ მათი დარგის შესაბამისი მოდულები საბაკალავრო პროგრამაში. ამავე დროს, დაიგეგმოს ინსტიტუტის ხელმძღვანელების ერთობლივი შეხვედრები საბაზისო საგნების სწავლების საკითხებთან დაკავშირებით.

4. **ფაკულტეტის სარედაქციო კოლეგიის დამტკიცება**.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს, ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოების და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების დებულების მიხედვით ფაკულტეტის ფაკულტეტის

საგამომცემლო საბჭოების და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების შემადგენლობის დამტკიცება.

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს, ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოების და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების დებულებაში არსებული სიახლეების შესახებ (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის ,, 05.03 " N43/01-01 ბრძანების დანართი N1)

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს სთხოვა წარმოადგინონ ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების წევრთა კანდიდატურები.

კენჭი უყარეს: სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებმა წარმოადგინონ საგამომცემლო საბჭოსა და სარედაქციო კოლეგიების წევრობის კანდიდატურები

მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

<u>დაადგინეს:</u> დაევალოს ინსტიტუტების ხელმღვანელებს წარმოადგინონ ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოსა და სარედაქციო კოლეგიების წევრობის კანდიდატები.

5. სახელმძღვანელობის თარგმნის სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება
საკითხი რიდერების შესახებ.

საკითხი 1. ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს შეახსენა შეთანხმება სახელმღვანელოების თარგმანასთან დაკავშირებული, კერძოდ, ორი სახელმძღვანელოს ქართული თარგმანის შესახებ, რომელსაც უნივერსიტეტი აფინანსებს,ეს წიგნები:

1. **განვითარების ფსიქოლოგია.** Barry H. Kantowitz, Henry L. Roediger III, David G. Elmes (2009). Experimental Psychology, 9th Edition. WADSWORTH Cengage learning
Language: English
Pages: 551
Library of Congress Control Number: 2008920142
ISBN- 13: 978-0-495-59533-5
ISBN- 10: 0-495-59533-0

2. **ექსპერიმენტული ფსიქოლოგია.** Grace J. Craig, Wendy L. Dunn (2009). Understanding Human Development, 2nd Edition, Pearson;
Language: English
Paperback: 600 pages
ISBN-10: 0205753078
ISBN-13: 978-0205753079

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. თ. აბაშიძემ, ა. ქიტიაშვილმა, პროფ. ქ. ჭკუასელმა. მათ აღნიშნეს, რომ საჭიროა საბჭოს სამუშაო ჯგუფის შედგენა და მთარგმნელების შერჩევა, რადგანაც უნივერსიტეტმა უკვე დაიწყო ორივე სახელმძღვანელოსთვის ლიცენზიის მოპოვებაზე მუშაობა.

კენჭი უყარეს: შერჩეული წიგნების თარგმნისა და რედაქტირებისათვის შეიქმნას სამუშაო ჯგუფი
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა სამუშაო ჯგუფში მონაწილე პროფესორების შესახებ წერილობით ინფორმაცია მიაწოდონ დეკანის მოვალეობის შემსრულებელს.

საკითხი 2. ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. თ. გაგოშიძემ შეახსენა საბჭოს წევრებს რიდერების შექმნის შესახებ.

კენჭი უყარეს: სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებმა დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან წარმოადგინონ რიდერების მომზადებისათვის საჭირო მასალების სია, სათარგმნი გვერდების რაოდენობა და თარგმანში ჩართული პირების სია.
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა წერილობით მიაწოდონ ინფრომაცია დეკანის მოვალეობის შემსრულებელს რიდერების შექმნაში ჩართული პროფესორების და სათარგმნი მასალების შესახებ.

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ძალადაკარგულ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული

სტუდენტების თავსებად აკრედიტებულ პროგრამებზე გადაყვანისას სასწავლო და კვლევითი კომპონენტის აღიარების წესი.

ფსიქოლოგიისა და განათლების სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ასოცირებულმა პროფესორმა, ანასატასია ქიტიაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ძალადაკარგულ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების თავსებად აკრედიტებულ პროგრამებზე გადაყვანისას სასწავლო და კვლევითი კომპონენტის აღიარების წესის შესახებ.

კენჭი უყარეს: ძალადაკარგულ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების თავსებად აკრედიტებულ პროგრამებზე გადაყვანისას სასწავლო და კვლევითი კომპონენტის აღიარების წარმოდგენილ წესს.

მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ძალადაკარგულ სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების თავსებად აკრედიტებულ პროგრამებზე გადაყვანისას სასწავლო და კვლევითი კომპონენტის აღიარების წესის წარმოდგენილი ვარიანტი.

7. ბაკალავრიატში ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხი.

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ასოცირებულმა პროფესორმა მანანა მელიქიშილმა წარმოადგინა საკითხი ინგლისური ენის სწავლებათან დაკავშირებით. მან მოახსენა საბჭოს, რომ უნივერიტეტის ბაკალვრიატის დასრულებისას პრეზიდენტის ბრძანების მიხედვით, სავალდებულოა ინგლისურის ცოდნის B2 დონეზე. ზოგიერთი სტუდენტი წარმოადგენს სერტიფიკატს ინგლისური ენის შესაბამისი დონის ცოდნის შესახებ, რომელსაც აღიარებს თსუ. საკითხი ეხება იმას, ჩაეთვალოს თუ არა მას ეს კრედიტში, თუ მის ნაცვლად აიღოს სხვა საგანი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ. სუმბაძემ, ბ.პეტრიაშვილმა აღნიშნეს, რომ სტუდენტს ეს ცოდნა უნდა ჩაეთვალოს კრედიტში. ასოც. პროფ. ვ. ნადარეიშვილის, პროფ. თ. გაგოშიძის, პროფ. მ. წერეთლის აზრით, თსუ იღებს სტუდენტისგან თანხას 240 კრედიტისთვის, ამიტომ თუ სტუდენტს ჩაეთვლება კრედიტი, მაშინ მას უნივერსიტეტმა სანაცვლოდ უნდა შესთავაზოს სხვა საგანი, ჩათვლილი კრედიტის მაგივრად. ასოც. შ. აბზიანიძის აზრით საერთოდ კურიკულუმს გარეთ უნდა იქნას გატანილი უცხოური ენის სწავლება. სტუდენტების, ბ. დადეშქელიანისა და თ. კანდელაკის მოსაზრებით უნივერსიტეტი ვალდებულია სტუდენტებს შეასწავლოს უცხოური ენა და ამისათვის აუცილბელია მცირერიცხოვან ჯგუფებში მეცადინეობა.

კენჭი უყარეს: გადაიდოს საკითხის განხილვა ფაკულტეტის შემდეგ საბჭოზე და დაევალოს ხარისხი მართვის სამსახურის უფროსს ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილს მოამზადოს აღნიშნული საკითხი პროფესორების აზრის გათვალისწინებით.

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დაევალოს ხარისხი მართვის სამსახურის უფროსს გაიაროს კონსულტაცია თსუ-ს სასწავლო და ხარისხის უზრუვნელყოფის სამსახურებში და მოამზადოს საკითხი ინგლისური ენის კრედიტების ჩათვლის შესახებ შემდეგი სხდომისთვის.

8. **ინტერენეტაკადემიის ჟურნალში რედკოლეგიის გაფართოების საკითხი;**

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია ინტერენეტ აკადემიის ელექტრონულ ჟურნალში რედკოლეგიის გაფართოების შესახებ.

კენჭი უყარეს: სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებმა წარმოადგინონ საგამომცემლო ინტერნეტაკადემიის ელექტრონულ ჟურნალში რედკოლეგიის წევრობის კანდიდატურები.

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

<u>დაადგინეს:</u> დაევალოს სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხემღვანელებს წარმოადგინონ ინტერენეტაკადემიის ჟურნალში სარედაქციო კოლეგიის წევრობის კანდიდატები.

9. საბჭოს მდივანმა ასისტენტ პროფესორმა ეკატერინე ფირცხალავამ წარმოადგინა განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის მიერ შემოტანილი საკითხი:

- თსუ მესხეთის ყოფილი ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულ ხათუნა ლომიძის დიპლომის შეცვლის საკითხი (შემოსულია განცხადება (№ 1335/02, 20.01.2015) დიპლომის გამოცვლის თაობაზე მასში არსებული ხარვეზების გამო)

- განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი რეკომენდაციას უწევს ხათუნა ლომიძეს, რომ მის მიერ გავლილი ყველა დისციპლინის კურსი შესაბამისობაშია „დაწყებითი განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ჩამონათვალთან და შესაბამისად, იმსახურებს უფლებას მიენიჭოს დიპლომირებული

სპეციალისტის აკადემიური ხარისხის დაწყებითი განათლების პედაგოგიკის სპეციალობით. (ამჟამად კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში სწორედ ასეთი კვალიფიკაციით ფიქსირდება ეს სპეციალობა).

აზრი გამოთქვეს: პროფ. ქ. ჭკუასელმა და პროფ. თ. გაგოშიძემ. მათ აღნიშნეს, რომ საქმის ვითარება ისევ ბუნდოვანია. საჭიროა სამართლებრივი საფუძვლის მოძიება, რომელიც საშუალებას მისცემს ფაკულტეტის საბჭოს გაარკვიოს რამდენად არის შესაძლებელი ფაკულტეტის დონეზე გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი.

კენჭი უყარეს: სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა გაარკვიოს ფაკულტეტის უფლებამოსილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 5

დაადგინეს: გადაიდოს - თსუ მესხეთის ყოფილი ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულ ხათუნა ლომიძის დიპლომის შეცვლის საკითხი. დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს მოიძიოს სამათლებრივი საფუძვლები, კონსულტაცია გაიაროს ხარისხის მართვის უზრუნველყოფისა და იურიდიულ სამსახურებთან.

10. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალისტმა თამარ მანაგაძემ წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ჯავახეთის ფილიალის კურსდამთავრებულის, ნონა ინასარიძის საკითხი- მის დიპლომში არ არის მითითებული აკადემიური ხარისხის მინიჭების წელი, თვე და რიცხვი, ოქმის ნომერი (ეს იმ პერიოდში არ იყო სავალდებულო). განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ითხოვს ამ საკითხის გადაწყვეტას.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ქ. ჭკუასელმა, პროფ. თამარ გაგოშიძემ, პროფ. მ. წერეთელმა, ასოც. პროფ. შ. აბზიანიძემ, ასოც. პროფ. ა. ქიტიაშვილმა. აღნიშნულმა საკითხმა გამოიწვია ცხარე კამათი და გადაწყდა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა სცილდება ფაკულტეტის საბჭოს კოპეტენციას და ფაკულტეტის საბჭო თავს იკავებს გადაწყვეტილების მიღებისაგან. დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს დეტალურად გაარკვიოს აღნიშნული საკითხი.

კენჭი უყარეს: წინადადებას იმის შესახებ, რომ ფაკულტეტის საბჭოს კომპეტენციას ცილდება ნონა ინასარიძის დიპლომის საკითხი და ამიტომ საბჭო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას.

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს დეტალურად გაარკვიოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალის კურსდამთავრებულის, ნონა ინასარიძის საკითხი.

11. **ასოცირებული პროფესორის გოგი გოროშიძის წერილი. აქტუალურ წინადადებათა 3 პაკეტი.** ასოც. პროფესორმა გოგი გოროშიძემ აღნიშნა, რომ არ იქნებოდა საკმარისი დრო ყველა წინადადებისნ განხილვისათვის. მან შესთავაზა საბჭოს წევრებს დეტალურად გაეცნონ მის წინადადებებს და საბჭოს შემდეგ სხდომაზე გაიმართოს მსჯელობა წერილში წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით.

დაადგინეს: გამოყოფილი დრო არ რის დამაკმაყოფილებელი ასოც.პროფ. გოგი გოროშიძის მიერ წარმოდგენილი წინადადებების სამი პაკეტის განსახილველად, ამიტომაც გადაიდოს საკითხი ფაკულტეტის საბჭოს შემდეგ სხდომაზე და შეტანილი იქნეს სხდომის დღის წესრიგში ძირითად საკითხებად.

სხდომის თავმჯდომარე
პროფ. თ. გაგოშიძე

სხდომის მდივანი
ასისტ./პროფ.
ე. ფირცხალავა

12.03.2015